პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი პირველი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

30 აგვისტო
სამშაბათი

1918 მოსკოვში, მიხელსონის ქარხანაში მიტინგის შემდეგ მემარჯვენე ეს-ერმა კაპლანისამ თავდასხმა მოახდინა ამხ. ლენინზე და დასჭრა ორი ტყვიით.

დილით მოკლულ იქნა პეტროგრადში, ამხ. ურიცკი, ჩრდილოეთის შრომის კომუნის შ. ს. კომისარი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დღ. 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 19 საერთო №

გაზეთის დაკვეთა და გაცემა სწარმოებს საქართველოს ცენტრალურ ბეჭდვითი განყოფილებაში, რუსთაველის ქ., № 4.
ტელეფონი №

დღიური

— ინდოეთში ინგლისის საწინააღმდეგო მოძრაობამ მასიური ხასიათი მიიღო.

— პოლონეთში გრძელდება რკინის გზელთა გაფიცვები.

— პოლონეთის მთავრობა კომუნისტების წინააღმდეგ სასტიკ დევნას აწარმოებს

— პირველ სექტემბერს კარლსბადში გაიხსნება სიონისტების მსოფლიო კონგრესი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 147 სამშაბათი, 30 აგვისტო, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი სამშაბათი, 30 აგვისტო, 1921 წ. № 147

დღეს, საღ. 6 საათზე სახელმწიფო დრამის თეატრის საკონცერტო დარბაზში დანიშნულია საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების რკინის გზელთა ყრილობის საზეიმო საერთო სხდომა, კავშირთა გამგეობების და საქარხნო კომიტეტების მონაწილეობით მოსმენილ იქნება მოხსენება ამხ. ორჯონიკიძისა.

გაერთიანება თუ მჭიდრო კავშირი?

ჩვენ ბევრს ვლაპარაკობდით პირველ თვეებში სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობაზე და ახლა კი ისევ ბევრს ვლაპარაკობთ სახელმწიფოებრივ გაერთიანებაზე.

მარტო ბევრი ლაპარაკი, ცხადია, ვერც საქმეს გააკეთებს და ვერც კითხვას გამოარკვევს: „სიტყვა სხვა, საქმე სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარიო“, ამბობს ხალხი და მართალიც არის.

თუ „მწარე სიმართლეს“ არ დავფარავთ და მის „თქმას“ ვამჯობინებთ „არა თქმას“, მაშინ გულახდილად უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ ჩვენი ბევრი ლაპარაკით არც დამოუკიდებლობის პრინციპის გასატარებლათ გაგვიკეთებია ბევრი რამ და არც გაერთიანებისათვის.

აქედან წარმოიშვა ჩვენს პარტიაში ერთგვარი გაუგებრობა. ბევრს ჰგონია, რომ გაერთიანების პრინციპი ეწინააღმდეგება დამოუკიდებლობის პრინციპს და ამიტომ ჰკითხულობს: **საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანება, თუ მჭიდრო კავშირით?**

ბევრი ამხანაგი კიდეც იმსხვერპლა ამ გაუგებრობამ, ბევრს „შემარცხენეობის სენი“ შეეყარა და ბევრსაც კიდევ „მემარჯვენეობის“ სახელი შესძინა.

კიდევ უარესი, რაც თავიდათავია, მასებში უკმაყოფილებას იწვევდა და, თითქო პარტიაში უთანხმოება ჩამოვარდნილიყოს და დღეს თუ არა ხვალ ჩვენი პარტია ლამის ორათ გაიყოს.

და ეს ყველაფერი იქედან წარმოსდგა, რომ ბევრი კომუნისტი ჩვენში კომუნიზმის საფუძვლებს ნაკლებათ არის გაცნობილი და ბევრს ჩვენს ხელმძღვანელთაგანს წამოყენებული კითხვის ანალიზი ბოლომდე არ მიუყვანია. ჩვენი მწერლობაც და პრესაც დღემდე დადუმებულია ამ კითხვების შესახებ და ზოგადი დებულებების, რეზოლიუციების მეტი არ იცის რა.

საჭირო კი იყო კითხვა პირდაპირ წამოყენებულიყო და პირდაპირ დაუფარავათ, მოურიდებლად გაგვეცა პასუხი, ვინაიდან კომუნისტური აზროვნება, პროლეტარული იდეოლოგია არავითარი კითხვის გამორკვევაში მეტაფიზიკურ მისტიკურ ბურჟუაზიულ მეთოდებს არ ხმარობს. მისი პოლიტიკაც ისეთივე ნათელი და აშკარაა, როგორც თვით კომუნისტური აზრი, პრინციპი, იდეალი.

მაშ კითხვა—გაერთიანება თუ მჭიდრო კავშირი—პროლეტარული სისწორით, სამართლიანობით და გაბედულობით უნდა გადაიჭრას.

ვისაც ამბობს ანს, მან ბანიც უნდა სთქვას.

ჩვენ ეკონომიური მატერიალიზმის მეთოდის მაღიარებელნი ვართ—აქედან, თუ ვამბობთ, რომ ეკონომიურ ნიადაგზე უნდა გავერთიანდეთ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ეკონომიურ გაერთიანებას უთუოთ პოლიტიკური გაერთიანებაც მოჰყვება, ხოლო პოლიტიკურს სხვა გვარი გაერთიანებაც, ვინაიდან „ეკონომიკა“ არის საფუძველი, რომელზედაც აგებულია სხვა ყოველივე „ზედნაშენი“.

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ საბჭოთა რესპუბლიკები დღეს ყველაფრათ უკვე გაერთიანებულია. ან ის, ყოველგვარი სხვა და სხვაობა გაქრება და ქვეყანათ მხოლოთ ერთფეროვნება დამყარდება.

სრულიადაც არა.

„ჩვენ ვცხოვრობთ გარდამავალ ხანაში“. ეს ძალიან კარგათ უნდა დავიხსომოთ და ისე შევუდგეთ კითხვის გარკვევას.

ეს გარდამავალი ხანა ამხ. ლენინის სიტყვით, ათეული წელი მაინც გაგრძელდება და მაშასადამე გაერთიანების პროცესიც ამ ხნის განმავლობაში იწარმოებს.

ჩვენ დღეს მხოლოდ ვიწყებთ გაერთიანებას და არა ვართ გაერთიანებულნი და ვიდრე არ გავერთიანებულვართ, მანამ ეროვნულ ხალხოსნური სხვადასხვაობა, განცალკევება, სახელმწიფოს ფარგლები და საზღვრებიც ძალაში რჩება.

ძალაში რჩება, მაგრამ იმავე დროს არც რჩება, ვინაიდან ყოველდღიურათ თანდათან ვერთიანდებით როგორც ეკონომიურათ ისე პოლიტიკურათ; და აი ამ პროცესის შედეგები ჩვენ მხოლოდ ზოგადათ აბსოლუტურათ გვაქვს წარმოდგენილი: ვიცით მხოლოდ, რომ მომავალში გვექნება ერთი კომუნისტური მსოფლიო რესპუბლიკა, რომლის საზღვრები მხოლოდ მთელი დედამიწის ზურგი იქნება და რომელსაც სახელად სახელმწიფო აღარ ერქმევა: ხელისუფლება საჭირო აღარ იქნება, რადგან საზოგადოებაში კლასები აღარ იქნებიან.

მაგრამ დღეს კლასებიც არის და სახელმწიფოებიც, აქედან საჭიროა კლასობრივი პოლიტიკის წარმოებაც, პარტიებიც და ძალა უფლებაც.

სწორედ ამ ტონით იყო, რომ რუსეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის კონსტიტუციას საფუძვლათ ფედერაციის, კავშირის პრინციპი დაედო და არა, გაერთიანების. იქ კონსტიტუციაში ისიც ნათლათ არის აღნიშნული, რომ ეს პრინციპი მხოლოთ ისტორიული პროცესის თვალსაზრისით არის აღიარებული და რომ ის დროებითია.

ამნაირათ ჩვენ ვღიარებთ გაერთიანების პრინციპს და იმავე დროს პრაქტიკაში უნდა ვატარებდეთ ფედერაციას, ე. ი. მჭიდრო კავშირის პრინციპს.

და მერე რა განსხვავებაა ამ ორ პრინციპს შორის? შეიძლება იკითხოს ვინმემ. დიდი, ძალიან დიდი: სწორედ ისეთი, როგორიც მიმდინარე ცხოვრებასა და მომავალს შორის, როგორც პრაქტიკასა და თეორიას შორის.

გაერთიანებისაკენ ჩვენ მივისწრაფით, ხოლო ახლა მჭიდრო კავშირს ვადგენთ იმიტომ, რომ მომავალში გავერთიანდეთ ჩვენი აწინდელი პრაქტიკა მხოლოთ მჭიდრო კავშირით განისაზღვრება. ჩვენ დღეს დამოუკიდებულ სახელმწიფოს წარმოვადგენთ, ხვალ შეიძლება ნებით წევრი ვიქნეთ რუსეთის ფედერაციის და შემდეგ კი რუსეთთან ერთად მთელი მსოფლიო რესპუბლიკის. ამ პროცესში ცხადია იშლება საზღვრები: სახელმწიფოები, კლასობრივი, ეროვნული და სხვა, მაგრამ ამავე პროცესში იქმნებიან ახალ-ახალი საზღვრები, ახალ-ახალი ფორმები და სახეები, მაგალითათ ჯერ ფედერატიული უზარმაზარი რესპუბლიკა—სახელმწიფო, შემდეგ სახელმწიფოებრიობას მოკლებული მსოფლიო რესპუბლიკა.

რაც შეეხება კლასებს და ერებს: ჩვენ გადაჭრით ერთი შეგვიძლიან ვთქვათ, სახელდობრ ის, რომ იქნება უკლასო საზოგადოება, მაგრამ რა ფორმას და რა სახეს მიიღებს ამ პროცესში ერი, ეროვნება, ეს ჩვენ არ ვიცით. ერთი კი აქაც აშკარაა, ვერც ერთი ერი ვერ დარჩება იმ სახით და ხასიათით, რომელსაც ახლა ის ატარებს ისე, როგორადაც ის წარსულ ეპოქებშიაც არ იყო იმ სახისა და ფორმის, რასაც დღეს წარმოადგენს. პატრიარქალი ქართველი, ცხადია ნაკლებათ ჰგავს ფეოდალ ქართველს, ხოლო ბურჟუა ან გლეხი ქართველი ძალიან ნაკლებათ ემგვანება იმ ახალი ტიპის ქართველს, რომელსაც სოციალისტური გარდამავალი ხანა შექმნის და რომელიც წევრი იქნება მომავალი უკლასო კომუნისტური საზოგადოებისა.

მაგრამ ქართველი ხომ ქართველად დარჩება! წამოიძახებს სიხარულით გულაჩქროლებული ყველა ჯურის ნაციონალისტი.

ჩვენ ასეთ წინასწარმეტყველებას ვერ ვკისრულობთ: ისტორიამ იცის რომაელ და ერთა მოსპობის მაგალითებიც. ის მეტად შეუბრალებელი და დაუზოგველია ამ მხრით. მხოლოდ ერთი კი ითქმის ერის სანუგეშოთ, სახელდობრ ის, რომ იგი არ ბერდება და ძალდაუტანებლად არ ჰკვდება. ბუნებრივ პროცესში იგი ფენიქსებრ ახლდება. ისტორიამ იცის ერის მხოლოდ გარეშე ძალით სიკვდილი.

როგორც ვხედავთ, ჩვენი ერიც სწორედ ისეთ ვარსკვლავზეა დაბადებული, რომ მას ეს ძალით სიკვდილი ისტორიამ ააშორა და ბუნებრივ ისტორიულ განვითარების გზაზე შეიყვანა იგი.

ჩვენ ვდგევართ გაერთიანების გზაზე, მაგრამ ვაწარმოებთ დამოუკიდებლობის პოლიტიკას. საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიური, პოლიტიკური და სამხედრო მჭიდრო კავშირი, აი რა ჰქმნის საბოლოვოთ გაერთიანების ნიადაგს, აი რა ჰქმნის იმავე დროს ახალი საერთო რესპუბლიკის, ახალი საზოგადოების, ახალი წევრის მომავალ ახალ ტიპს და სხვათა შორის ქართველი ერის ახალ სახეს.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

სასოფლო სამეურნეო ცოდნის გავრცელება

მოსკოვი. 27 აგვ. (რადიო). სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა მიმდინარე ზამთარში დააარსოს მთელ რესპუბლიკაში 15 ოქტომბრიდან [illegible] მოკლე ვადიან კურსებისა სასოფლო მეურნეობის შესასწავლად. არა ნაკლებ სამისა თითო მაზრაში ერთიდან 3 თვის ვადით.

კურსებზე მიიღებენ მიწის მუშებს, რომელთაც აირჩევენ სოფლის კომიტეტები და სასოფლო მეურნეობის საბჭოთა კოლექტივები და გამოგზავნიან როგორც დელეგატებს. სწავლის დროს მსმენელნი განთავისუფლებულნი იქნებიან ყოველგვარი შრომის ბეგრიდან და მიიღებენ სოციალურს უზრუნველყოფას იმ ნორმათა მიხედვით, რომელსაც ღებულობენ მსმენელნი მუშათა ფაკულტეტების.

ამას გარდა არსდება სოფლის მასწავლებელთათვის სპეციალური კურსები გასაცნობად სასოფლო მეურნეობის ძირითად საფუძვლებით.

რუსეთ-ამერიკის გერმანიის სამშვიდობო ხელშეკრულება

მოსკოვი. 29 აგვისტო (რადიო). საბჭოთა რუსეთის, გერმანიის და ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებთა შორის საზავო ხელშეკრულებას ხელი მოაწერა ამხ. ლენინმა.

სასურსათო გადასახადი.

პეტროგრადი. 24 აგვ. იამბურგის, ლუგას, შლისელბურგის და პეტროგრადის მაზრებმა სრულიად შემოიტანეს სასურსათო გადასახადი.

— 22 აგვისტოსთვის პეტროგრადის გუბერნიის სამეურნეო საბჭოში მოტანილი და დატვირთულია 33,085 ფუთი ხორბალი.

საზღვარ გარეთ გატანა

პეტროგრადი. 16 აგვ. საზღვარგარეთ გასატანად პეტროგრადში ჩამოვიდა 69 ვაგონი თამბაქო და 27 ვაგონი სელი.

სასურსათო მუშაობა.

პეტროგრადი. 16 აგვ. პროფესკავშირმა მობილიზაცია გაუკეთა 296 ამხანაგს სასურსათო მუშაობის გასატარებლათ. ადგილობრივად წავიდა 5 რაზმი მობილიზაციის ქვეშ მოყოლილთა შორის 30 პასუხისმგებელი ამხანაგი იმუშავებენ პეტროგრადის გუბერნიის საზღვრებში.

ევროპასთან საქონლის გაცვლის გადიდებისა გამო შეუდგნენ ბალტიის ზღვის ტრანსპორტის შეკეთებას. ნაოსნობის შეჩერებამდე აუცილებლად შეკეთებული იქნება ყინულის მჭრელი „ერმაკი“. სულ მიღებულია 101 გემი შესაკეთებლად. შტეტინში ჩამოვიდა რუსის გემი ბალტიის ტრანსპორტისა სამხედრო ტყვეებით და ინვალიდებით, ეკიპაჟის მუშები მისალმნენ გემს, რომელზედაც ფრიალებდა წითელი დროშა.

ღვინის გაყიდვა რუსეთში.

მოსკოვი. 15 აგვისტო, სახალხო კომისართა საბჭომ გამოსცა დეკრეტი, რომლითაც ნებადართულია გაყიდვა მცხოვრებლებზე ყურძნის და ხილეულ ღვინისა, რომელიც შეიცავს არ უმეტეს 14 პროც. ალკოგოლს და დააკმაყოფილებს თავიანთ ყველა ამ მოთხოვნილებებს, რომელიც დაწესებულია მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა და სახალხო მეურნეობის საბჭოსთან შეთანხმებით.

სასურსათო გადასახადი უკრაინაში.

ხარკოვი. 26 აგვ. (რადიო). პოლტავის გუბერნიაში 18 აგვისტომდე შემოვიდა გადასახადის სახით 300000 ფუთზე მეტი პური, დონეცის გუბ. დაბეგრილია 300,000 ფუთამდე ხორბლეულობა. ჩერნიგოვის გუბ. შეკრებილია 10,000 ფუთი ფქვილი 1,300 ფუთი საქონლის გაცვლით 22,000 ფ. პური და 2000 საქონლის საკვები. ხარკოვის გუბ. მოკრება 20 აგვისტომდე სასურსათო გადასახადი გაცვლით 37,000 ფ. ხორბალი უკანასკნელ დღეებში ოპერაცია წარმატებით სრულდება.

ბრძოლა სიმშილობასთან

მოუსავლობის შედეგების გამოკვლევა.

მოსკოვი. 15 აგვ. საზოგადო-სახელმწიფო კომისიასთან შეიქნა სპეციალური კომისია მოუსავლობის შედეგების გამოსარკვევათ და მასთან საბრძოლველათ. სხდომაზე მოისმინეს პოპოვის მოხსენება მოუსავლობის რაოდენობის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დესეტინაზე ხორბლეულის აკრების რაოდენობის მიხედვით, ვოლგის სანაპიროს მოსავალი ორჯერ ნაკლებია 1891 წლის მოსავალზე. მდგომარეობაც მით უფრო რთულდება, რომ მიმდინარე წლის დათესილი მოედანი მეტად შემცირდა 1891 წელთან შედარებით მოუსავლობა მოედო 8 გუბერნიას სრულიად და ვიატკისა და პენზის გუბერნიას, ჩუვაშელთა რესპუბლიკასა და მარისა და ვოტიაკის ოლქებს ნაწილობრივ მოუსავლიან ადგილებში ირიცხება 15 მილიონი მოსახლეობა. დასათესი ადგილი 8,881,000 დესეტინა მოგვცემს წმინდა შემოსავალს 143 მილიონ ფუთ ხორბალს. დეფიციტი გამოიხატება 40 მილიონ ფუთში.

ამავე სხდომაზე მოისმინეს პროფესორ გიალოვიჩის მოხსენება შესახებ მოუსავლიან რაიონების მორწყვისა. მომხსენებელმა შემოიტანა წინადადება, რათა ჩრდილო დონეცის [illegible] დაიდგას წყლის ამოსაქაჩი მანქანები, რის საშუალებით შეიძლებოდა სამი თვის განმავლობაში 20 000 დესეტ. [illegible] მორწყვა.

დასასრულ კომისიამ გადასწყვიტა სასწრაფოდ დამშეულ რაიონებში მოაწყოს საზოგადო სამუშაო. დასახულია საჭაო სამიწო და საგზო სამუშაოები და სხვა.

დამშეულთა გადასახლება.

მოსკოვი. 15 აგვისტო. გზათა სახალხო კომისარიატის ცნობით ლტოლვილთა გადაყვანის საკითხი მეტად მწვავეა სდგას. მრავალი ლტოლვილი დაგროვდნენ სამარასა და ყაზანში. სამარა-ზლატოუსტოვის რკინის გზა მეტად მძიმე მდგომარეობაში იმყოფება: სურსათის ნაკლებობისა და რკინის გზის პერსონალის უყაირათობისა გამო. გზას არ ძალუძს ნორმალურ მუშაობის წარმოება და მით უმეტეს ლტოლვილთა მოზღვავების გამო. რევაკუაცია ცენტრალურ გამგეობას სახეში აქვს 1 მილიონ ლტოლვილის გადაყვანა, რომლებიც განზრახულია გადაყვანონ ყირგიზის მხარეს, თურქესტანში და მურმანზე.

კაპიტალიზმის სამეფოებში

პოლონეთი

მოძრაობა პოლონელ პროლეტარიატისა.

ვარშავა. 24 აგვისტო. (რადიო) რკ. გზის მუშათა გაფიცვა პოზნანისა და დანციგის ოლქებში ფართო ხასიათს ღებულობს. პოლონელ შრომის მინისტრმა საჭიროთ სცნო პოზნანში წასვლა მოსალაპარაკებლად რკინისგზელებთან.

კომუნისტებთან ბრძოლა პოლონეთში.

პეტროგრადი. 21 აგვისტო (ტელეგ). ვარშავის სასამართლომ სამი წლით ციხეში დატუსაღება მიუსაჯა იმ პირთ, რომელმაც ბრალსა სდებდენ კომუნისტურ პარტიის წევრობაში.

ამერიკა

ამერიკელ პროლეტარიატის გაერთება

ვენა. 22 აგვისტო. ამერიკის-ირლანდიის შრომის ლიგა, ეროვნულ დაცვის კომიტეტი, ფინელთა სოციალისტური ფედერაცია, კლუბები გაერთიანებულ მშრომელთა, ამერიკელ თავისუფლების ორგანიზაცია, საწარმოო სოციალისტური ლიგა და ფედერაცია უნგრელ მუშათა, აგვისტოს დამლევს გაერთიანდენ ერთ ამერიკელ მუშათა კავშირში.

პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტი.

ნაუენი. 25 აგვისტო. ვაშინგტონში იხსნება პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტი. სპეციალურ პოლიტიკურ კითხვებზე ლექციების საკითხავათ. ინსტიტუტში მოწვეულნი არიან სხვადასხვა ქვეყნის მასწავლებლები და პოლიტიკური მოღვაწენი. გადაწყვეტილია განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის დიპლომატიურ და ფინანსიურ ეკონომიურ დამოკიდებულებას. კერძოთ კი გადაწყვეტილია პირველი ლექცია მიაძღვნონ საკითხს ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვის აუცილებლობის შესახებ.

გერმანია.

გერმანიის კომუნისტური პარტიის ყრილობა.

ბერლინი. 23 აგვისტო (რადიო). რუსის პროფკავშირების მისალმების შემდეგ გამოდიან კომუნისტური პარტიის წარმომადგენელნი შვეციისა, შვეიცარიისა, დანიისა, ჰოლანდიისა, ჩეხო-სლოვაკიისა და ინგლისისა, რომლებმაც აღნიშნეს რომ გერმანიის გაერთიანებულმა პარტიამ უნდა ეცადოს თავის რიგებში მიიზიდოს მუშათა მასსა, რომელიც დღემდე მიდის შეიდემანისტებთან და დამოუკიდებლებთან: მისალმების შემდეგ წაკითხულ იქნა ლენინისა და რადეკის წერილები. ც. კ. წინადადება პარტიიდან გამორიცხვის შესახებ გეიერისა, დიუკლიისა და ვოლდემარისა ლევისათვის სოლიდარობის გამოცხადებისათვის და მის ჟურნალში მონაწილეობისათვის, წინააღმდეგ მათი კომინტერნის უკანასკნელ კონგრესის დადგენილებისა, დამორჩილება მიღებული იქმნა 263 ხმით.

გეიერს და დიუველს წინადადება მიეცა დასტოვონ მინდობილება რეიხსტაგში. ვოლდემარს—ყრილობის დატოვებისა.

ნაუენი. 25 აგვ. (რადიო). ლეიპციგში იარმუკაზე მოსული პირთა რიცხვი აღემატება წარსული წლისას. დანიამ, ბალტიის სახელმწიფოებმა, სამხრეთ სლავიამ, ბულგარეთმა და რუმინიამ გამოგზავნეს თავის წარმომადგენლები. მყიდველთა დიდი რიცხვი მოვიდა იტალიიდან, საფრანგეთიდან, ბელგიიდან და ინგლისიდან. მოელიან მყიდველებს ამერიკიდან. იარმუკის ოფიციალური გახსნა მოხდება 28 აგვისტოს.

სამუშაო ხელფასის გადიდება.

ნაუენი. 26 აგვისტო (რადიო). გერმანეთის ტრედ უნიონების და მოსამსახურეთა კავშირის მოთხოვნილება სამუშაო ხელფასის გადიდების შესახებ სახელმწიფო აღმშენებლობის ყველა დარგებში დაკმაყოფილებულ იქმნა გერმანიის მთავრობის მიერ ცხოვრების გამო. გერმანიის ბიუჯეტში ეს მომატება გამოიხატება 8 მილიონი მარკით ყოველ წლიურათ.

შვეიცარია

ყოფილი მეფე კარლოსი.

ნაუენი. 25 აგვ. (რადიო). შვეიცარიის მთავრობამ ყოფილ მეფე კარლოსს გაუგრძელა ვადა ნებართვის შვეიცარიაში დარჩენისა.

ინგლისი.

ინგლისელები ამიერ-კავკასიის ყოფილ წარმომადგენელთა შეთანხმებაზე.

კონსტანტინეპოლი. 18 აგვ. სომხურ გაზეთი „ჯოგოვურდზაინი“ აქვეყნებს შემდეგ: ლონდონში სომხეთა დამხმარე ფონდის თავმჯდომარე გარკეტმა გაზეთის თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ ამიერ კავკასიის რესპუბლიკის ყოფილ წარმომადგენელთა შეთანხმებას პარიზში არა თუ არ ექნება რაიმე საქმიანი ან რეალური მნიშვნელობა, არამედ შეუძლიან გამოიწვიოს თავისი უარყოფითი შედეგი რუსეთ სომხეთის განწყობილებაზე. სომხებს თავიანთ არსებობის გულისათვის სჭირდებათ განმტკიცება რუსეთთან მეგობრული კავშირისა. ყველასათვის ცხადია, რომ რუსეთის აღორძინება და განმტკიცება ბოლშევიკური თუ სხვათა ხელისუფლებისა, ვერ მოხდება რუსეთში ცენტრალიზაციის სახით, რუსეთი უნდა ეყრდნობოდეს განაპირა წვრილ სახელმწიფოებს და თავის სასიკეთოთ გაამაგროს მათი დამოუკიდებლობა. ასეთი სახელმწიფოებრივი ერთეულები ფაქტიურად უკვე არსებობენ,—ეს ამიერ კავკასიის რესპუბლიკები, რომელიც მომავალში დაიჭერენ ფედერატიულ კავშირს რუსეთთან, როგორც საკუთარი სიკეთისათვის, ისე თვით რუსეთის საკეთილდღეოთ.

შაქარი და ხორბალი ამიერკავკასიისათვის.

მოსკოვი, აგვისტო. გერმანიის სინდიკატმა ბრემენში წინადადებით მიმართა საოლქო გარე-ვაჭრობას, რომ ჩამოიტანოს კავკასიაში დიდი პარტია ამერიკის შაქრის და კანადის ხორბლისა.

სიონისტების კონგრესი.

პეტროგრადი, 24 აგვისტო 1 სექტემბერს კარლსბადში გაიხსნება სიონისტების მსოფლიო კონგრესი.

ინდოეთი

მდგომარეობა ინდოეთში

ნაუენი. 27 აგვ. (რადიო). დეპეშის ცნობით ინდოეთიდან, არეულობა სამხრეთ-ინდოეთში თანდათან იზრდება და ღებულობს ხალხოსნურ ხასიათს, მალაბარის მკვიდრთა შორის რევოლიუციონური მოძრაობა 1000 კვ. მილზე გავრცელდა, შეტაკების დროს მოკლულია 1000 კაცი. მეამბოხეთა და მთავრობის ჯართა შუა სროლა არ ცხრება.

სამხრეთ დასავლეთის სანაპიროზე შექმნილია ერთობ მძიმე მდგომარეობა. განვითარდა მხარეში [illegible] ბრბო. მეამბოხეების მიერ აწეულია სტამბოლის ხალიფატის მწვანე დროშა.

ქრონიკა

◆ **სახალხო ბანკი.** სექტემბრის დამლევს განზრახვა აქვთ დაარსონ სახალხო ბანკი—ყოფილი სახელმწიფო—ცენტრალური კანტორით და მმართველობით თბილისში, რომლის შემდეგ გახსნილი იქნება ბანკის განყოფილებანი: პირველად ბათომში და შემდეგ ქუთაისში. სახალხო ბანკის წესდება უკვე შემუშავებულია. ბანკის ფუნქცია ასეთი იქნება: უპირველეს საქმედ სახელმწიფო კრედიტი ემსახურება და გაუწევს მეტად ფართო დახმარებას სახალხო კომისარიატებს. უმთავრესად გარე-ვაჭრობისას, მიწად მოქმედებისას და სასურსათოს, აგრეთვე კოოპერაციის და ბოლოს კერძო ინიციატივას, რამდენათაც ეს ინიციატივა სასარგებლო იქნება სახელმწიფოსათვის. სახალხო ბანკის მოვალეობაში შედის საემისიო ფუნქციები. ფულის რეფორმა გატარებული იქნება სახალხო ბანკის საშუალებით მაგარი ვალიუტის დამყარებით. და მაშ ნ საემისიო უფლება განხორციელებული იქნება სახალხო ბანკის მიერ. სახალხო ბანკში იწარმოებს ყველა საბანკო ოპერაციები საფონდო ოპერაციების გამოკლებით.

◆ **რუსეთში დაბრუნება** პირველ ორი ჯგუფის გაგზავნა რუსეთში პეტროგრადის მიმართულებით, რომელიც დანიშნული იყო 24 და 25 აგვისტოს რამოდენიმე დღით გადადებულია.

— **დახმარება რუსეთის დამშეულთ.** მთავარ სამხედრო საინჟინრო საქართველოს ხაზარგო სახელოსნოების მუშა მოსამსახურეთა საერთო კრებამ დაადგინა: 1) ვოლგის მხარის დამშეულთა სასარგებლოდ გადასდონ აგვისტოს მთელი თვის ჯამაგირი სრულად. 2) გადასდონ 5 დღის ულუფა სრულად. 3) წინადადება მიეცეს, ყველა ამხანაგებს, რომ ნებაყოფლობით შემოწირულებანი შეაგროვონ ვისაც რამდენი შეუძლია. 4) მიწის მქონე და დამუშავებელ ამხანაგებს წინადადება მიეცეს, რათა გადასდონ თავის მოსავლის ნაწილი ნატურით ხორბლით, ფქვილით დამშეულთა სასარგებლოთ.

პარტიული ცხოვრება

მარტვილი (სენაკის მაზრა).

13 აგვისტოს გაიხსნა პირველი ლეგალური კონფერენცია მუშურ გლეხური ინტერესების მედგარი დამცველის კომუნისტური პარტიისა (ბოლშევიკების)!

კონფერენციას დაესწრო 16 იაჩეიკების წარმომადგენელნი, კრება გახსნა ამხ. თომა თოფურიამ, არჩეულ იქნა პრეზიდიუმი სამი ამხანაგებისაგან: თეიმურაზ ხარებავა, პლატონ ჩაგუნავა, და თომა თოფურია.

დღიურ წესრიგში იყო დასმული შემდეგი საკითხები 1. საბჭოთა რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობა, 2. მოხსენება ჩვენი ახალი ეკონომიური და პოლიტიკური საფუძვლების და მისი მთავარი შედეგების შესახებ, 3. რაიონული კომიტეტის მოხსენება თავის მუშაობის შესახებ, 4. მოხსენებები ადგილებიდან და რაიონული კომიტეტის არჩევა, 5. პასუხისმგებელ კორესპონდენტის არჩევა და 6. სამაზრო კონფერენციაზე დელეგატების არჩევა.

პირველ საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა სამაზრო პასუხისმგებელ მდივანმა ამხ. მ. ბედიამ. მან ვრცლად დაახასიათა რუსეთის თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა და პარალელურად დაახასიათა საბჭოთა რუსეთის პოლიტიკა ბურჟუაზიულ სახელმწიფოების მიმართ და ევროპის პროლეტარიატის განწყობილება, რომელიც სრულ გარანტიას იძლევა საბჭოთა ძალაუფლების განმტკიცებაში.

მომხსენებელი დაჯილდოვებულ იქნა ტაშისცემით. შემდეგ იყო შეკითხვები, რომლებსაც მომხსენებელმა შესაფერი პასუხი გასცა. მეორე საკითხი კრებას გააცნო ამხ. მ. ბედიამ. მან მარტივათ დაასურათა ჩვენი ძველი და ახალი ეკონომიური და პოლიტიკური საფუძვლები, მან განსაკუთრებული ყურადღებით აღნიშნა პირველი და მეორე პოლიტიკის შედეგები. მესამე საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა სარაიონო პასუხისმგებელ მდივანმა ამხ. იაკობ გონიავამ, მან აღნიშნა კომიტეტის მუშაობა დღიდან მისი არსებობისა, რის შემდეგ ადგილიდან კომიტეტის მუშაობას აღნიშნავს ამხ. კლემენტი თოფურია. ამხანაგის სიტყვიდან გამოირკვა, რომ კომიტეტს უწარმოებია ღირსეული მუშაობა. პარტიული მუშაობა და კომკავშირისადმი დახმარება აღნიშნა ამხანაგ დავით გაბილონიამ. დასასრულ მან კონფერენციას გააცნო მისასალმებელი რეზოლიუცია, რომელიც გამოტანილი ქონდა ადგილობრივი კომკავშირის კონფერენციას, სარაიონო კონფერენციის აღსანიშნავათ კომიტეტის ღირსეული დახმარებისათვის. პარტიული მუშაობის ყოველ მხრივ შემოწმების შემდეგ კონფერენციამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: გაითვალისწინა რა კონფერენციამ კომიტეტის მუშაობა. სცნობს, რომ მიუხედავათ ცუდი პირობებისა სარაიონო კომიტეტს პირნათლად შეუსრულებია პარტიის წინაშე თავისი მოვალეობა, მუშაობისთვის კონფერენცია კომიტეტს მადლობას უცხადებს. შემდეგ ადგილობრივი მუშაობის შესახებ იაჩეიკების წარმომადგენლები აკეთებენ მოხსენებებს. მათ მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ყველა იაჩეიკებში მიმდინარეობს სისტემატიურათ პარტიული მუშაობა, მოწყობილია სამკითხველოები ეწყობა შაბათობა და სხვა. ნახარებაოს იაჩეიკას აქვს დამუშავებული რვა ქცევა მიწა კომუნალურათ. შემდეგ კონფერენცია შეუდგა კომიტეტის არჩევას, არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: იაკობ მონიავა, ლოგინოზ მოგელაძე, კლემენტი თოფურია, თომა თოფურია, პეტრე წოწორია. პლატონ ჩაგუნავა. კანდიდატათ ვასო გველავა. პასუხისმგებელ კორესპონდენტათ ი. ქოლოკავა. შემდეგ სამაზრო კონფერენციის მნიშვნელობა და მისი დანიშნულება გააცნო ამხ. ი. მონიავამ, სამაზრო კონფერენციაზე დელეგატებათ არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: იაკობ მონიავა; ლოგინოზ მოგელაძე, კლემენტი თოფურია იასონ ქოლოკავა თეიმურაზ ხარებავა, პეტრე წოწორია და თომა თოფურია, კანდიდატათ კალისტრატე წოწორია. შემდეგ კონფერენციამ მისალმა მსოფლიო რევოლიუციის შტაბს-მესამე ინტერნაციონალს მის ბელადებს აგრეთვე საქართველოს კომუნისტურ პარტიას. კრება დაიხურა ინტერნაციონალის სიმღერით.

ი. ქო—ვა.

ნ. ლენინი.

სასურსათო გადასახადის შესახებ

(გაგრძელება იხ. „კომ.“ № 144)

საჭიროა უშიშრად ვიცნოთ, პირდაპირ შევხედოთ თვალებში ბოროტებას, რომ უფრო მედგრად შეგვეძლოს მასთან ბრძოლა, რომ ისევ და ისევ თავიდან დავიწყოთ ხოლმე ის საქმე, რომელშიაც შეცდომამ მოგვივლია, ან სათანადოდ ვერ გაგვიკეთებია, ჩვენ კიდევ მრავჯერ მოგვიხდება საქმის თავიდან დაწყება, ბევრჯერ მოგვიხდება სხვადასხვა გზების გამონახვა ჩვენი ამოცანის გამოსაყვანად. რაკი მსხვილი წარმოების აღორძინების ვადა გადასდო, რაკი გამოჩნდა აუტანლობა მრეწველობასა და მიწად მოქმედებას შორის არსებულ „ჩაკეტილ“ ტრიალ ურთიერთობისა, საჭიროა, აუცილებელია, მაშასადამე, დავაწყოთ წვრილ მრეწველობის აღყვავებას. მოვუაროთ საქმეს ამ მხრივ, ბოძების შემდგმით გავამაგროთ ეს, ომიანობისა და ბლოკადის მეოხებით, ნახევრად ჩამონგრეული კედელი აღმშენებლობისა. ყოველის გზით და რითაც არ უნდა დაგვიჯდეს გავავითაროთ აღებ მიცემობა და ნუ შეგვეშინდება კაპიტალიზმისა, ვინაიდგან ჩვენ უკვე შემოვარტყით მას მეტად ვიწრო და მეტად „ზომიერი“ ჩარჩო: (მემამულეთა და ბურჟუაზიის ექსპროპრიაციით ეკონომიკაში, მუშათა და გლეხთა ხელის უფლების დამყარებით პოლიტიკაში). ასეთია ძირითადი აზრი სასურსათო გადასახადისა, ასეთია მისი ეკონომიური მნიშვნელობა.

პარტიისა და საბჭოთა ყველა მუშაკი მოვალეა მთელი თავისი ძალღონე, მთელი თავისი ყურადღება მიმართოს იქით, რომ ადგილობრივ, გუბერნიებში,—შექმნას, აღორძინოს თაოსნობა, საგლეხო მეურნეობის აღორძინების საქმეში ჩვენ უნდა ჩავითრიოთ რაც შეიძლება მეტი რიცხვი მაზრებისა, თემებისა, სოფლებისა, მივეშველნეთ მას თუნდაც მცირე საშუალებით, აყვავდეს თუნდაც წვრილი, ადგილობრივი მრეწველობა. საერთო სახელმწიფოებრივი, ერთი სამეურნეო მთლიანი გეგმა მოითხოვს, რომ ცენტრად ჩვენის ყურადღებისა და მზრუნველობისა, ცენტრად „დამკვრელ“ მუშაობისა უნდა იყოს სწორედ ეს. ამ მხრივ მიღწეული გაუმჯობესება საშუალებას მოგვცემს ახლო მომავალში დავიწყოთ უფრო ენერგიული, უფრო ფართო და ნაყოფიერი მუშაობა მსხვილ მრეწველობის აღსაყვავებლად.

სასურსათო მუშაკმა დღევანდლამდე იცოდა მხოლოდ ერთი დირექტივა: შეაგროვე 100 პროც. განაწილებისა. ახლა დირექტივა სხვა გვარია: შეაგროვე 100 პროც. გადასახადისა, რაც შეიძლება მოკლე ვადის განმავლობაში—და შემდეგ შეაგროვებს კიდევ 100 პროც. მსხვილ და წვრილ მრეწველობის პროდუქტების გადაცვლით. ის, ვინც შეაგროვებს 75 პროც. გადასახადისას და 75 პროც. (მეორე ასეულიდან) პროდუქტების გადაცვლით, გააკეთებს უფრო დიდს, თვალსაჩინო სახელმწიფოებრივ საქმეს, ვიდრე ის, ვინც შეკრებს 75 პროც. გადასახადისას და 55 პროც. (მეორე ასეულიდან) გადაცვლით. მესურსათეს საძიებელი, მისი მიზანი, აქ მეტად რთულდება. ერთის მხრივ ეს საძიებელი ფისკალურია. შეაგროვე გადასახადი, რაც შეიძლება რაციონალურად. მეორეს მხრივ, ეს საძიებელი ეკონომიური ხასიათისაა: შეეცადე და ისე მიმართე კოოპერაცია, ისე მოეხმარე წვრილ მრეწველობას, ისე განავითარე თაოსნობა და სუფთა ადგილებში, რომ გაიზარდოს, გაფართოვდეს, განმტკიცდეს ურთიერთობა მიწათმოქმედებისა და მრეწველობისა. ჩვენ ჯერ კიდევ ძალიან და ძალიან ცუდათ ვაკეთებთ ამ საქმეს, რადგანაც არ ვიცით, როგორ ვაკეთოთ იგი საქმე. ამის მაჩვენებელი და დამამტკიცებელია ჩვენი ბიუროკრატიზმი. ჩვენ არ უნდა შეგვრცხვეს და თამამად ვაღიაროთ, რომ **ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა უნდა ვისწავლოთ კაპიტალისტებისაგან.** შევადაროთ ერთმანეთს შედეგები პრაქტიკული გამოცდილებისა გუბერნიებსა, მაზრებსა და სოფლებში. ერთგან კაპიტალისტებმა და ჩარჩებმა მიაღწიეს ამა და ამ მიზანს. მათი მოგება, დაახლოვებით, ამდენი და ამდენია. ეს გადახდით ის ხარკი, ის გადასახადი, რომელიც ჩვენ გადავიხადეთ „ჭკუის სასწავლებლად“. თუ კი ჭკუის ვისწავლით, თუ კი გამოცდილი გავხდებით, ხარკის გადება დასანანი არ არის, ოღონდ საქმე გაკეთდეს. აი, მაგალითად, მეორე ადგილას კოოპერაციამ მიაღწია ამა და ამ შედეგს. მოგება მისი ამდენი და ამდენია. მესამე ადგილას წმინდა სახელმწიფოებრივის, წმინდა კომუნისტურის გზით, ჩვენ მივიღეთ ესა და ეს შედეგი (ეს მესამე შემთხვევა დღესდღეობით იშვიათი გამონაკლისი იქნება).

თითოეულ თემის სამეურნეო ცენტრის, თითოეულ გუბერნიის სამეურნეო საბჭოის მიზანი და დანიშნულება უნდა იყოს ის, რომ პირველ რიგში, დაუყოვნებლივ შეუდგეს ორგანიზაციების მოწყობას და ამ ორგანიზაციების მეოხებით სცადოს სხვადასხვა სისტემით საქონლის ტრიალი და გაცვლა-გამოცვლა, რომელიც დარჩება ადგილობრივ, გადასახადების აკრების შემდეგ. რამდენიმე თვე რომ გავა, ჩვენ ხელთ უნდა გვქონდეს შედეგებიც, მათ შესასწავლათ და ერთმანეთთან შესადარებლად. ადგილობრივი, ან სხვა ადგილებიდან მოტანილი მარილი, ნავთი ცენტრიდან, სახელოსნო ხის დამამუშავებელი მრეწველობა, ადგილობრივ ნედლი მასალიდან დამუშავებული, თუნდაც მცირედი რამ, მაგრამ გლეხკაცებისათვის საჭირო საგნები, „მწვანე ნახშირი“ (გამოყენება ადგილობრივ მდინარეთა თუნდა პატარა ძალებისა ელექტროფიკაციისათვის) და სხვა ასეთები, ყველა და ყველაფერი ამუშავებულ და ამოძრავებულ უნდა იქნას, რათა გავაცოცხლოთ მიწადმოქმედებისა და მრეწველობის ურთიერთობა და მათ ნაწარმოებთა ტრიალი, აღებ-მიცემობა, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს ჩვენ ეს საქმე. ვინც ამ სფეროში მიაღწევს უდიდესს შედეგებს, თუნდაც კერძო სამეურნეო კაპიტალიზმის გზით, თუნდაც უკოოპერაციოთ, თუნდაც კერძო კაპიტალიზმის სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმად გადაუქცეველადაც, ის უფრო დიდ სარგებლობას მოუტანს სრულიად რუსეთის სოციალისტურ აღმშენებლობას, ვიდრე ის, ვინც დაბრძანებულა და „ოცნებობს“ კომუნიზმის სიწმინდეზე სწერს რეგლამენტებს, ინსტრუქციებს სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმისა და კოოპერაციებისათვის და პრაქტიკულად კი თითსაც არ ანძრევს გაცვლა გამოცვლის აღორძინებლად.

ეს შეიძლება ვისმე პარადოქსად მოეჩვენოს და დაცინვით სთქვას: როგორ შეიძლება კერძო კაპიტალიზმი სოციალიზმის დამხმარედ ვიგულისხმოთ? მაგრამ ეს პარადოქსი არ არის. ეს არის ეკონომიურად უდავო ფაქტი. რაკი ჩვენ საქმე გვაქვს წვრილ გლეხურ ქვეყანასთან, სადაც ტრანსპორტი ძალზე დაშლილია, მაგრამ უკვე თავს აღწევს ომებსა და ბლოკადას, რაკი ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ ქვეყანასთან, რომლის პოლიტიკური ხელმძღვანელი არის პროლეტარიატი, ეს უზენაესი პატრონი ტრანსპორტისაცა და მსხვილ მრეწველობისაც, აქედან აუცილებლად გამომდინარეობს პირველ ხარისხოვანი მნიშვნელობა საქონლის ტრიალისა ერთის მხრივ და კერძო სამეურნეო კაპიტალიზმის მიერ სოციალიზმისადმი ერთგვარი დასამარების გაწევის შესაძლებლობა, მეორეს მხრივ (სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმზე რომ არა ვსთქვათ რა).

რაც შეიძლება ნაკლები დავა სიტყვებისა გამო! ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრსა ვცოდავთ ხოლმე. რაც შეიძლება მეტი ცდის მოხდენა პრაქტიკაში და ამ ცდების ზედმიწევნით შესწავლა. არის ხოლმე ისეთი პირობები, ისეთი მომენტი, როდესაც სამაგალითოთ დაყენებულ მუშაობას ამა თუ იმ კუთხეში, თუნდაც სულ მცირე მასშტაბით, უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ბევრ სხვა დარგს ცენტრალურ სახელმწიფოებრივ მუშაობისას. საგლეხო მეურნეობის მიხედვით, საზოგადოდ, და სასოფლო-სამეურნეო ზედმეტ ნაწარმოებთა სამრეწველო პროდუქტებზე გადაცვლის მხრივ, განსაკუთრებით, დღეს ჩვენ სწორედ იმეთს პირობებში ვიმყოფებით, რომ სამაგალითოდ დაყენებულ საქმეს, თუნდაც ერთი-ერთ ოლქში, უფრო მეტი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სამაგალითოდ გაუმჯობესებას ამა თუ იმ ნარკომატის ცენტრალურ აპარატისას, ვინაიდგან ცენტრალური აპარატი ამ სამ-ოთხი წლის განმავლობაში იმდენად მოეწყო, რომ ერთგვარი მოძველება და მავნებელი ჯიუტობაც კი დაეტყო. ჩვენ არ შეგვიძლია ამ აპარატის თვალსაჩინოთ და სასწრაფოთ შეკეთება. ჩვენ არ ვიცით, როგორ მოვახერხოთ ეს. მისი გამოცოცხლება, მისი რადიკალური გაუმჯობესება, მისი ახალი სულის ჩაბერვა, ჯიუტობისაგან დახსნა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ამხედრება შეუძლია მხოლოდ იმ პროვინციებს, იმ ადგილებს, სადაც სამაგალითოთ და მთლიანად არის დაყენებული საქმე, დიახ მთლიანად, ესე იგი სადაც სამაგალითოდაა, დაყენებული არა მარტო მეურნეობა, არა მარტო მეურნეობის ესა თუ ის დარგი და წარმოება, არამედ სადაც სამაგალითოდ არის დაყენებული მთელი ჯამი სამეურნეო ურთიერთობათა, მთელი ჯამი სამეურნეო აღებ-მიცემობისა, თუნდაც ერთ რომელიმე პაწია კუთხეში.

(შემდეგი იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საოლქო პარტიული თათბირი

ამხანაგ ორჯონიკიძის მოხსენება რ. კ. პ. ც. კ. კავბიუროს პოლიტიკურ მუშაობის შესახებ.

(დასასრული)

საბჭოთა ხელისუფლება კავკასიის ხალხთათვის ნაციონალური მშვიდობიანობაა.

კავკასია ყოველთვის იყო ნაციონალურ შეტაკებათა ბუდე, თქვენ, ალბად, გემახსოვრებათ სომეხ-თათართა ჟლეტის საშინელი დღეები 1905 წელს. ამ საშინელებას ჰქონდა ადგილი და მეორდებოდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე კავკასიაში. შარშან ზამთარშიც აზერბაიჯანის პროვინციის ერთ-ერთ კუთხეში, ქალაქ შუშის სომხური ნაწილი სრულიად დასწვეს და ჩვენ ვიყავით საშინელი სურათის მოწმეები: ქალაქი სრულიად გაანადგურეს და ქალები და ბავშვები ჭაში ჩაყარეს.

თუ 1918 წლამდის ისტორიას არ ახსოვს სამეგ ქართველთა შეიარაღებული შეტაკება, 1918 წლიდან ე. ი. მენშევიკურ საქართველოს და დაშნაკურ სომხეთის ჩამოყალიბების შემდეგ ისინი აწარმოებდნენ ნამდვილ ომს.

დაშნაკურ, მუსავატურ და მენშევიკური სიბრძნის საფუძვლად შეიქნა ნაციონალური სიძულვილი, საურთიერთო ინტრიგები, ძარცვა და მკვლელობა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ ამ რესპუბლიკებში ერთხელ და სამუდამოთ ბოლო მოუღო ასეთ უგვანო პოლიტიკას.

მუსულმანთა და სომხების შეერთებული ბრძოლა დაშნაკების წინააღმდეგ. ამხ. ნარიმანოვის შესანიშნავი დეკლარაცია იმის შესახებ, რომ ბაქოს ნავთი ეკუთვნის ყველა საბჭოთა რესპუბლიკებს, ყარაბაღის, ზანგეზურის, ყარაიაზის და ლორის საკითხების უმტკივნეულო და სწორი გადაჭრა—ყველა ეს ამტკიცებს ნაციონალურ მშვიდობიანობის შეურყევლობას ამიერ-კავკასიაში.

ეგევე შეიძლება ითქვას ჩრდილოეთ კავკასიის მთიელებზედაც, სადაც ნაციონალური მტრობა თავის დროზე კიდევ უფრო ველურ ფორმებში და სადაც ახლა სუფევს მშვიდობა მთიელ ხალხთა შორის.

კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიური გაერთიანება.

კავკასია სამეურნეო მხრით წარმოადგენს ერთ მთლიან და განუყოფელ ორგანიზმს. ამისათვის კავკასიის ყველა საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიური გაერთიანების საკითხი დადგა რიგში, როგორც კი მთელ კავკასიაში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება.

თუმცა საზღვრების კედლები—ეს ნაციონალისტურ მთავრობების მემკვიდრეობა, ახლა მოხსნილია, მაგრამ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიური განცალკევება ჯერჯერობით ფაქტად რჩება.

ამ მხრივ რკინის გზების და საგარეო ვაჭრობის გაერთიანება წარმოადგენს ნაბიჯს წინ.

მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში იმ სიძნელეს და დაბრკოლებებს, რომლებიც გვხვდებოდა ჩვენ ამ გზაზე, თუ მოვიგონებთ, რომ საგარეო ვაჭრობათა გაერთიანების დროს თვითეულ რესპუბლიკას ეშინოდა, რომ მეზობელ რესპუბლიკას როგორმე იმისი სიმდიდრით არ ესარგებლა; თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ამდენ ხანს არც ერთ რესპუბლიკას არ მოეცა საგარეო ვაჭრობისათვის სავალუტო საქონელი და მთელი საგარეო ვაჭრობა სწარმოებს იმ ოქროთი, რომელიც გამოგზავნილია რუსეთის საბჭოთა ხელისუფლების მიერ, თუ ყველაფერს ამას მოვიგონებთ, ჩვენთვის ცხადი იქნება, რომ მენშევიკების, მუსავატელების და დაშნაკების წყეული მემკვიდრეობა ჯერ კიდევ მძიმე ლოდად გვაწევს ჩვენ.

დასრულებულმა საოლქო ეკონომიურმა თათბირმა ურყევი მეცნიერული ფაქტებით დაამტკიცა კავკასიის რესპუბლიკების ეკონომიური გაერთიანების აუცილებლობა და სარგებლობა.

რაც უნდა ძნელი იყოს და როგორი დაბრკოლებანი უნდა გადაეღობოს წინ ნაციონალისტურ მიდრეკილებათა დაძლევას,—ჩვენ მტკიცედ ვაწარმოებთ მუშაობას რესპუბლიკების ეკონომიურ გაერთიანებისათვის. ვინაიდან კავკასიის ყველა საბჭოთა რესპუბლიკების გაუერთიანებლად და ერთმანეთისადმი დაუხმარებლად, საერთოდ არც ერთ სამეურნეო დარგში არ შეიძლება პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმა, კერძოთ კი, არც მელიორაციაში და არც ელექტროფიკაციის მოწყობაში.

რევოლუციონური გამოსვლები სპარსეთში და ჩვენი პოლიტიკა

ჩვენი ამოცანის განხორციელების დროს, რაიცა გამოიხატებოდა სპარსეთში და ოსმალეთში რევოლუციონურ მოძრაობის დახმარებაში, დავედექით ასეთ სინამდვილის წინაშე. წარსულ წელს მოვაწყვეთ ჩვენ საზღვაო ექსპედიცია თეთრგვარდიელების მიერ ენზელის პორტში გატაცებულ გემების დასაბრუნებლად.

ეს ექსპედიცია შეასრულა ამხ. რასკოლნიკოვმა. ინგლისელები განიდევნა ენზელიდან და გემები დაუბრუნდა საბჭოთა ხელისუფლებას.

ამხ. რასკოლნიკოვს სთხოვა დახმარება ინგლისელებთან საბრძოლველად ცნობილმა კუჩუკხანმა. დახმარება აღმოჩენილ იქმნა და კუჩუკ ხანმა რეშტი აიღო.

შექმნილ იქმნა რევკომი და მალე მთელი გილიანის პროვინცია ინგლისელებისაგან განთავისუფლდა.

ამ გვარად პატარა საზღვაო ექსპედიციამ რომელიც ისახავდა კონკრეტულ ამოცანას, ჩვენ წინაშე დააყენა კუჩუკ ხანის მოძრაობის განვითარების დიდი საკითხი.

როგორ უნდა გვემოქმედნა ამ შემთხვევაში?

ჩვენ ვიცოდით, რომ სპარსეთში არავითარი პროლეტარიატი არ არის, რომ გლეხობა ბნელი, დაბეჩავებული და პასიურია, რომ კუჩუკ ხანის მოძრაობა წარმოადგენს სპარსეთის წვრილ-ვაჭრულ-ბურჟუაზიულ მოძრაობას, რომ ამ მოძრაობას აქვს ნაციონალურ განმათავისუფლებელი ხასიათი.

ჩვენ ვიცოდით, რომ ამ ნაციონალისტურ ბურჟუაზიას მეტად ეჯავრება კომუნიზმი.

ჩვენ მხარი უნდა დაგვეჭირა ამ ინგლისელების წინააღმდეგ მიმართულ მოძრაობისათვის და იმავე დროს არ დაგვეფრთხო ეს ჯგუფები კომუნიზმის წითელ მაჩვენებით, ვინაიდან, როგორც შემდეგ გამოირკვა, იმათთვის წითელი საფრთხე უფრო საშიშია, ვიდრე ინგლისელები.

კუჩუკ ხანთან შეხვედრის დროს აღნიშნულ იქნა, რომ ჩვენ მხარს ვუჭერთ სპარსელების ნაციონალურ განმათავისუფლებელ მოძრაობას და ჩვენ გეგმაში სრულიად არ შედის საბჭოთა სპარსეთის შექმნა იმ სოციალურ შინაარსით, რომლის მატარებელი საბჭოთა ხელისუფლებაა.

კუჩუკ ხანი იზიარებდა ჩვენს შეხედულებას.

პირველ ხანებში მოძრაობა წარჩინებულად მიმდინარეობდა. რეშტში შესვლის დროს კუჩუკ-ხანს მოსახლეობა დიდის ზეიმით შეხვდა. თეირანისაკენ შემდეგი წინსვლა წარმატებით მიდიოდა.

მაგრამ ამ დროს მოხდა განხეთქილება კუჩუკსა და რევოლუციონერთა მეორე ნაწილს შორის.

კუჩუკმა დასტოვა რეშტი და წავიდა თავის ჯანგალში (ტყეში). დარჩენილ ჯგუფს სათავეში ჩაუდგა ეხსანულა—ხანი.

განხეთქილების შემდეგ ნაციონალურ განმათავისუფლებელმა მოძრაობამ გილიანში თანდათან იწყო კლება და ვინც უნდა ყოფილიყო დამნაშავე ამ განხეთქილებაში, ჩვენ უნდა გულახდილად ვთქვათ, რომ იგი იყო დიდი ნაკლი სპარსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობის განვითარებაში.

თუ ჩვენ ვცანით საჭიროდ სპარსეთის ნაციონალურ განმათავისუფლებელ მოძრაობის მხარის დაჭერა, რომელსაც სათავეში უდგა კუჩუკ-ხანი, სამაგიეროდ ჯგუფი 13 რჩეულ კომუნისტებისა სულთან-ზადეს მეთაურობით, რომელიც თავიდანვე კუჩუკ—ხანს გადაჭრილად უარყოფით უყურებდა.

ეს ჯგუფი ამბობდა, რომ სპარსეთში ბურჟუაზიული რევოლუცია უკვე 1909 წ. დამთავრდა და ახლა ხდება სოციალისტური რევოლუცია.

ამ თეორიის დამტკიცებას ისინი ცდილობდნენ რაღაცა ფანტასტიურ მასების რაოდენობის შესახებ სპარსეთში.

ამ ჯგუფმა თავისი შეურიგებელ პოლიტიკით უწინარეს ყოვლისა შეიტანა ერთგვარი გაუგებრობა ჩვენსა და კუჩუკ ხანის დამოკიდებულებაში.

ჩვენ მივეცით სპარსეთში დარჩენილ ამხანაგებს დირექტივები, რათა მათ მხარი დაეჭირათ განმათავისუფლებელ მოძრაობისათვის. ასეთი პოლიტიკის სახელმძღვანელოდ და მისამართავად სპარსეთში გაგზავნილ იქნა ამხ. ბუდუ მდივანი.

მეორე ფაქტორი რომელმაც ალბად ითამაშა გადამწყვეტი როლი კუჩუკ-ხანთან დამოკიდებულების გაწყვეტაში, არის სპარსეთის ვაჭრების საქონლის რეკვიზიცია ბაქოში.

როდესაც აზერბეიჯანში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, ბაქოში ყველა საქონელი, რომელიც საბაჟოში მოიპოვებოდა, ჩამორთმეულ იქნა. ამათ რიცხვში იყო სპარსეთის ვაჭრების საქონელი. ეს ვაჭრები მოსვენებას არ აძლევდნენ კუჩუკ ხანს და სთხოვდნენ მას დახმარებას საქონლის დასაბრუნებლად. არა ერთხელ მომართა კუჩუკ ხანმა თხოვნით დაებრუნებინათ სპარსეთის ვაჭრებისათვის საქონელი, მაგრამ მისი თხოვნა არ იქნა დაკმაყოფილებული.

მაშინ სპარსელმა ვაჭრებმა იწყეს ხალხის შეკრება ჯამეებში და უამბობდნენ მათ საშინელ ამბებს ბოლშევიკებზე.

კერძო საკუთრების გამხეცებული ფანატიკოსები არ ზოგავდნენ თავის ელოკვენტურ მჭევრმეტყველებას და ასურათებდნენ ბოლშევიკებს, როგორც საშინელ ხალხს, რომელიც სპობს საკუთრებას, სარწმუნოებას, ოჯახს და სხვ.

ამ გვარად ერთის მხრით, კუჩუკხანისადმი მტრულად განწყობილ სპარსეთის კომუნისტების ჯგუფის მოქმედებამ, მეორეს მხრით, სპარსეთის ვაჭრთა საქონლის კონფისკაციამ ბაქოში, მესამე მხრით, სხვა და სხვა მიზეზების გამო კუჩუკ ხანისადმი მატერიალურ დახმარების აღმოუჩენლობამ ყოველმა ამან ერთად აღებულმა მიგვიყვანა განხეთქილებამდის კუჩუკ ხანთან.

რაც შეეხება სპარსეთის კომუნისტურ პარტიას, მიუხედავად იმისა, რომ პირველი პარტიული ყრილობა უკვე შარშან შედგა ენზელში, შეიძლება ითქვას, რომ პარტია ჯერ ჯერობით ძლიერ სუსტია.

ამისი მთავარი მიზეზი არის შინაური უთანხმოება და კინკლაობა.

პირველ ყრილობაზე არჩეული ცენტრალური კომიტეტი აღმოჩნდა მუშაობის უნარს მოკლებული. ამიტომ ის დაშლილ იქნა მაგრამ ახლად შექმნილი ცენტრალური კომიტეტი პირველზე უკეთესი არ აღმოჩნდა და ისიც გაშვებული იქნა.

მაშინ შექმნილ იქნა საორგანიზაციო კომისია, რომელმაც მოიწვია მეორე ყრილობა. ეს ყრილობა ამ ჟამად მუშაობს ბაქოში.

და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს ყრილობა ჩაუყრის საფუძველს მაგარს, გაწრთვნილ ირანის კომუნისტურ პარტიის ორგანიზაციას.

ოსმალეთი და ჩვენი პოლიტიკა.

რაც შეეხება ქემალისტურ ოსმალეთს, რომელიც აწარმოებდა და აწარმოებს შეიარაღებულ ბრძოლას ანტანტის და მისი აგენტების წინააღმდეგ, მთელი ჩვენი თანაგრძნობა არის ოსმალეთის მშრომელთა მხარეზე, რომლებმაც აიღეს მახვილი იმპერიალისტების წინააღმდეგ ეროვნულ თავისუფლების მოსაპოვებლად.

განსაკუთრებით ყურადღებას ვაქცევთ ჩვენ ახლად ჩასახულ ოსმალეთის კომუნისტურ პარტიას, რომელიც არის ოსმალეთში რევოლუციის განვითარების ერთად ერთი დასაყრდენი.

აქ უნდა აღინიშნოს ოსმალეთის კომუნისტური პარტიის დამაარსებლის ამხ. სუბხის ტრაგიკული სიკვდილი, რომელიც სხვა საუკეთესო კომუნისტებთან ერთად მხეცურად მოკლულ იქნა ოსმალეთის ბურჟუაზიის მიერ.

დიახ, ეს მკვლელები იქნენ განკიცხულნი და მიკრულნი სამარცხვინო ბოძზე.

წითელი არმიის როლი.

განუსაზღვრელად დიდია წითელი არმიის გმირული როლი კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამაგრებასა და განმტკიცებაში.

თუ რუსეთის გლეხებისა და მუშებისათვის წითელი არმია არის საყვარელი პირმშო, კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელთათვისაც იგი ფრიად საყვარელი ბავშვია.

კავკასიაში წითელი არმია წარმოადგენს დიდ განმათავისუფლებელ ძალას. იგი რეალურად იცავს კავკასიის მუშების და გლეხების თავისუფლებას ყველა ქვეყნის იმპერიალისტების თავდასხმისაგან.

იგი აძლევს შეძლებას ნაციონალურ წითელ არმიებს, როგორც თავის მომდევნოს და მემკვიდრეს, ორგანიზაციურად მოეწყონ.

კავკასიის მუშებმა და გლეხებმა სიყვარული და მზრუნველობა არ უნდა მოაკლონ მათ შორის მყოფ წითელ არმიის გმირებს, რომლებიც მოსცილდნენ თავიანთ ახლობლებს და იბრძვიან ყველა მშრომელთა საკეთილდღეოდ.

ამხანაგებო, დაიხსომეთ, რომ ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ წითელ არმიის მებრძოლებს სიყვარული და ზრუნველობა არ მოაკლდეთ.

მთელი სიმძიმე ამ მუშაობისა აწევს ჩვენს კომუნისტურ პარტიას, რომელიც, ეჭვს გარეშეა, ამ ამოცანას შეასრულებს.

კომუნისტური პარტია კავკასიაში.

ჩვენი ამოცანა კავკასიაში იქნება შესრულებული და საბჭოთა ხელისუფლება მხოლოდ მაშინ იქნება უძლეველი, როცა აქ ჩვენ გვექნება [illegible], ძლიერი, გაწრთვნილი კომუნისტური პარტია.

დენიკინის ბატონობამ ჩრდილოეთ კავკასიაში, მუსავატელების აზერბაიჯანში, დაშნაკების სომხეთში და მენშევიკების საქართველოში ჩაგდო ჩვენი პარტია იატაკქვეშ და მისი წევრები დაუზოგველად იდევნებოდნენ. გამეფებულ თეთრ რეაქციის მიერ შექმნილ პირობებში არ შეიძლებოდა სისტემატიურ მუშაობის წარმოება.

და მართლაც ბაქოს გარდა ჩვენ არ გვქონდა არსად მაგარი პარტიული ორგანიზაცია. მხოლოდ ყველა ბრძოლაში უძლეველმა ბაქოს პროლეტარიატმა, მიუხედავად მუსავატელების ველურ მოქმედებისა, არა თუ შეინახა თავისი ორგანიზაცია, არამედ კიდევაც შექმნა საუკეთესო, მაგარი და მებრძოლი ორგანიზაცია.

ამ პირობებში ჩვენ მოგვიხდა პარტიის ზევიდან შენება: კომიტეტები ინიშნებოდა, იცვლებოდა და მუშაკები რაიონიდან რაიონში გადაჰყავდათ.

ერთი წლის მუშაობის შემდეგ ჩვენ შევძელით შეგვექმნა დაქსაქსულ ძალებისაგან მრავალრიცხოვანი, საკმარისად მაგარი და დისციპლინით შედუღებული პარტია, რომელიც უკვე დადგა საკუთარ ფეხებზე და შეუძლია ყველა ნაკლულოვანებას ბოლო მოუღოს და რომელიც დღითი დღე მაგრდება და მაგრდება.

ახლა, როცა პარტიულ რიგების შემოწმების და გაწმენდის მუშაობა უნდა გაჩაღდეს, ჩვენ ეჭვი არ გვებადება, რომ ჩვენი პარტია შეიქნება მაგარი ერთ სულოვნობით და რკინის დისციპლინით.

სასურსათო ნატურ გადასახადი მაზრებში

ქალ. ლანჩხუთი.

14 აგვისტოს ქალ. ლანჩხუთში რაიპარტკომის მიერ მოწვეული იქმნა სახალხო მიტინგი.

ნაშუადღევს 4 საათზე მრავალრიცხოვანმა მშრომელმა ხალხმა მოიყარა თავი დანიშნულ ადგილზე.

მიტინგი გახსნა ამხ. კოწია ცინცაძემ, შესრულებული იქმნა მსოფლიო პროლეტარული ჰიმნი—ინტერნაციონალი სიმღერა—მუსიკით.

დღის წესრიგში იდგა—**სურსათზე შემოღებული ნატურალური გადასახადი**, რომლის შესახებ შინაარსიანი მოხსენება გააკეთა ამხ. კ. გურგენიძემ. იგი პირველად შეეხო კაპიტალიზმისა და სოციალიზმის შორის იმ გარდამავალ ხანას, რომელშიც გვეხვდება ყოფნა ამ ჟამად ჩვენ, და აქ მიტინგს გადმოუშალა შექმნილი ჩვენი მდგომარეობის სრული სურათები. შემდეგ პირდაპირ გადავიდა ნატურ-გადასახადის ახსნა—დახასიათებაზე; განმარტა ამის შესახებ გამოცემული ჩვენი მთავრობის დეკრეტი, მიუთითა მიტინგს თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნება მას ცხოვრებაში კარგად გატარებას ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკის ეკონომიური და ფინანსიური გაძლიერებისათვის, თუ როგორ გაგვამტკიცებს გაგვამაგრებს ყოველმხრივ ეს ჩვენ პოლიტიკურადაც და დასვენება—„სასურსათო გადასახადი მისცემს საშუალებას ქალაქის პროლეტარიატს წარმოებაში შექმნილ ანარქიას ბოლო მოუღოს, დაამყარებს მჭიდრო კავშირს ქალაქსა და სოფლის მშრომელებს შორის, ჩაბამს მთელ ხალხს სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეში, რაც ჩვენ საშუალებას მოგვცემს დავძლიოთ მტრები ეკონომიურ ფრონტზე და გავიმარჯვოთ ბრწყინვალედ გამარჯვებულნი ისე, როგორც ეს მოიმოქმედეს ჩვენმა გმირმა რუსეთელმა ამხანაგებმა.

გაუმარჯოს, ამხანაგებო, ეკონომიური ფრონტის დაძლევას!

გაუმარჯოს მშრომელი ხალხის ხელისუფლებას!

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციას!

მოხსენების დასასრულს ამხ. კოწია გურგენიძემ გასცა დამაკმაყოფილებელი პასუხი მიტინგიდან მიცემულ მრავალ შეკითხვებზე, რის შემდეგაც ინტერნაციონალის სიმღერით მიტინგი გამოცხადდა დახურულად.

ხალხი ძლიერ კმაყოფილი დაიშალა.

კ. შ.

ხაშური

კვირას, 14 აგვისტოს ხაშურის რაიონში ნატურალურ გადასახადის შესახებ, საპროპაგანდო კომპანიის ჩასატარებლად მოწვეულ იქმნა მრავალრიცხოვანი მიტინგები ოთხ ადგილას. ადგილობრივი (ხაშურის) პარტიული კომიტეტი წინასწარ შეუდგა მუშაობას, რომ რაც შეიძლება მეტი ხალხი დასწრებოდა მიტინგებს და გაეთვალისწინებია დამსწრეთათვის მიზეზები და მნიშვნელობა სასურსათო გადასახადისა და მათ ბოლო მოეღებოდა მრავალნაირ [illegible] წარმოდგენას ნატურალურ გადასახადზე. მთელი შემადგენლობა პარტიულ კომიტეტისა დაგზავნილ იქმნა რაიონში შემდეგი წესით: ქვიშხეთში—კალმახელიძე, მდივანი, ხცისში—მოწონელიძე, ქურდიძე, ლუდაში—სიამაშვილი, ენუქიძე და ჭალაზე—მაისურაძე და გოგოლაძე. წინასწარი მზადება მართლაც ნაყოფიერი გამოდგა: მიტინგს დაესწრო დიდძალი ხალხი. ამხანაგებმა ვრცელი მოხსენება გააკეთეს სასურსათო გადასახადის შესახებ. მათ აღნიშნეს ამ გადასახადის აუცილებლობის მიზეზები და მისი მნიშვნელობა დღევანდელ მოუსავლობისა და ეკონომიურ კრიზისის დროს, წარმოების აღდგენაში და პროლეტარულ სახელმწიფოს განმტკიცებაში. მომხსენებლებმა განუმარტეს დამსწრეთ დროებითი ხასიათი ნატურალური გადასახადისა, რომ ეს გადასახადი თავის თავად თანდათანობით მოისპობა წარმოებისა და გაცვლითი ვაჭრობის აღდგენასა და გაძლიერებასთან ერთად. მოხსენებები დიდის ინტერესით მოისმინა დამსწრეებმა, რის შემდეგ დაიწყო შეკითხვები. ამ შეკითხვებიდან ნათლად ირკვეოდა ის გარემოება, რომ სოფლად [illegible] მრავალი პროვოკატორები და ათასგვარ ჭორებით არ აძლევენ გლეხკაცობას მშვიდობიან შრომის საშუალებას.

შეკითხვებზე დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცეს ამხანაგებმა, რის შემდეგ გამოტანილ იქმნა რეზოლუციები, რომლებშიაც დამსწრენი იწონებენ გადადგმულ ნაბიჯს და აღუთქვამენ მთავრობას მთელი თავისი ენერგიით დაეხმარონ მას ამ დიდმნიშვნელოვან საქმის ცხოვრებაში სასწრაფოთ გასატარებლად.

ხ. მ—ნი.

წარმოებითი პროფკავშირებში

სრულიად საქართველოს საბჭოთა მუშაკთა ყრილობა.

აგვისტოს 25 საღამოს სხდომაზე რეზოლუციის მიღების შემდეგ ამხ. მოუშენზონი ყრილობას დახურულად აცხადებს. ყრილობამ მიიღო შემდეგი რეზოლუცია მოსმენილ მოხსენებების მიხედვით:

1) მიმდინარე მომენტის შესახებ ყრილობა ადგენს მიიღოს ყოველივე ზომა დანგრეულ სახალხო მეურნეობის აღსადგენათ.

2) ადგილებიდან მოხსენების შესახებ რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ მუშაობა ადგილობრივად ყველგან ერთნაირად არა სწარმოებდა, მაგრამ მიუხედავათ მთელი რიგი არახელსაყრელ პირობებისა, კავშირის ზოგი ერთ განყოფილებამ, როგორც მაგალითად შორაპნისამ მაინც შესძლო სრულიად დამაკმაყოფილებლად მოეწყო კავშირის მუშაობა.

3) საორგანიზაციო საკითხების შესახებ, რეზოლუცია პირველ რიგში საჭიროთ სთვლის მოეწყოს კავშირის განყოფილებანი მთელ საქართველოში მთლიანი გეგმის მიხედვით.

4) საწარმოო საკითხების შესახებ, პირველ რიგში საჭიროთ მიაჩნია ბრძოლა შრომის დეზერტირებთან შრომის დისციპლინის დარღვევასთან და ამ მუშაობას ყრილობა ავალებს შრომის კომიტეტებს.

5) ტარიფის საკითხის შესახებ: ყრილობა მხედველობაში ღებულობს იმას, რომ სატარიფო პოლიტიკის მიზანი წარმოადგენს შრომის ნაყოფიერების გადიდება და მუშების ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება და ადგენს დაუყოვნებლივ გატარდეს ცხოვრებაში კოლექტიური დაჯილდოვება და სატარიფო პოლიტიკა მიმართული იყოს ერთნაირი ეკონომიური პირობების შექმნისკენ, როგორც საბჭოთა მომუშავეთათვის ისე კერძო და საზოგადო წარმოება-დაწესებულებათა მომუშავეთათვის.

საბჭოთა მართლმსაჯულება

საქართველოს საგანგებო კომისიის კოლეგიის სხდომამ მოისმინა საქმე გამასწორებელ სახლის № 1, ყოფილ სამხედრო კომისრის პროკოფი კალანდაძისა, რომელსაც ბრალდებოდა ბოროტმოქმედება თანამდებობაში.

გამოძიებამ დაამტკიცა მთელი რიგი აღმაშფოთებელი ცინიკური ფაქტებისა და ბოროტმოქმედებისა. ბრალდებული სარგებლობდა თავის მდგომარეობით, ძალით აუპატიურებდა დატუსაღებულ ქალებს, რისთვისაც ათრობდა მათ. იგი არა ერთხელ შეეცადა გამასწორებელ სახლის თანამშრომელ ქალების გაუპატიურებას, ქეიფობდა ბრალდებულებთან, მიდიოდა მათთან ერთად ბაღებში და სოფლებში.

მიიღო რა მხედველობაში ის დიდი ზიანი, რომელიც მოჰქონდა ბრალდებულს თავის სახელ-გამტეხ მოქმედებით საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტურ პარტიისთვის და სურს რა ერთხელ და სამუდამოთ უჩვენოს იმ საძაგლებს, რომლებიც შეძვრენ კომუნისტური პარტიაში, მუშურ და გლეხურ ხელისუფლების დამსჯელი ხელის სიმაგრე, საქართველოს საგანგებო კომისიის კოლეგიამ დაადგინა: ბრალდებულ კალანდაძეს მიესაჯოს უმაღლესი სასჯელი დახვრეტა. განაჩენი აღსრულებაში მოიყვანეს ღამე 22 აგვისტოს.

აგვისტოს 20-ს სამხედრო რევტრიბუნალმა გაარჩია საარტილერიო საწყობის გამგის ნიკოლოზ ლუკიანოვის საქმე, რომელსაც ბრალდებოდა ერთი ვაგონი სიმინდის მოპარვა და მისი გაყიდვა, საარტილერიო მარაგის პროტექნიკოს ანტონ მასულევიჩისა და იმავე დაწესებულების საქმის მწარმოებლის ივანე ბრაუნის საქმე, რომელთაც მონაწილეობა ბრალდებოდათ ამ საქმეში და მოქალაქე ნიკოლოზ ხლებოშჩინ-სავიცკის საქმე, რომელსაც ბრალდებოდა ნაქურდალის გასაღება.

რევტრიბუნალმა ლუკიანოვს და მასულევიჩს მიუსაჯა უმაღლესი სასჯელი დახვრეტა, ბრაუნს ხუთი წლის იძულებითი მუშაობა, ხლებოშჩინს სამი წლის იძულებითი მუშაობა. განაჩენი საბოლოოა და ძალაში შედის დაუყოვნებლივ პირველთა მიმართ ორმოცდა რვა საათის შემდეგ და განსაჩივრება არ შეიძლება.

თფილისის სამაზრო სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილება

ყურადღების ღირსია თფილისის სამაზრო სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილება, რომლის გახსნა-მოწყობა თავის პუნქტებით (8 პუნქტია), მოსამსახურეთა კომპლექტის შედგენა, მუშაობის სისტემატიზაცია და სხვა, წილად ხვდა ამხ. ი. პანტურიას. მისმა ენერგიულმა მუშაობამ ფეხი აადგმევინა ახალ განყოფილებას, მიანიჭა და აგრძნობინა ძალა არსებობისა. დღეს სამაზრო სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილება განაგრძობს არსებობას და ემსახურება მაზრის ღარიბთა, ავადმყოფთა, დასახიჩრებულთა, [illegible] მყოფებულთა, ობოლთა და წითელ არმიელთა ოჯახებს ინტერესებს, რომლებიდან უამრავი თხოვნები და განცხადებები მოდის განყოფილებაში სოციალურ დახმარების შესახებ და განყოფილება შეძლებისდაგვარად აკმაყოფილებს მათ მოთხოვნილებას, საჭიროა ამ განყოფილების იდეურად და მატერიალურად უფრო გამაგრება, რომ მან გაამართლოს თავისი დანიშნულება და მასთან ერთად საჭიროა მუშაობის ინტენსივობა. ეს ნასკნელი უკვე საგრძნობლად ეჩნევა განყოფილებას ახალი გამგის დანიშვნის შემდეგ. ამხ. ერ. კალანდაძის ცხოველი და გულწრფელი მუშაობა არ შეიძლება არ იქნეს წახალისებული იმათთვის ვისაც საქმე და წესიერება უყვარს. ეტყობა მისი ბუნება ვერ შეურიგდება დაუდევრობას და მოდუნებულ მუშაობას, რაც იმის თავდებია, რომ განყოფილების საქმიანობა შემდეგში უფრო ინტენსიური და სასარგებლო იქნება.

მკუხე

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დეკრეტი № 67.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპ. რევოლუციონური კომიტეტისა სავაჭრო ფლოტის ნაციონალიზაციის შესახებ.

1. გამოცხადებულ იქნეს [illegible] ნაციონალიზაციის საფუძველზე [illegible] საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის საკუთრებად [illegible] ყველა სანაოსნო წარმოება, რომელიც ეკუთვნის იურიდიულ და ფიზიკურ პირთა და არის საქართველოს [illegible] ნავსადგურებში,—მთლად—გამოუკლებლად მისი ნავჭურჭლებით, ნავსადგურებით, ელინგებით, საწყობით და სხვა ყოველი მოძრავ უძრავი ქონებით და თანხებით.

შენიშვნა: მიენდოს იუსტიციის სახალხო კომისარს შეიმუშაოს და განსაზღვროს,—კანონმდებლობითი წესით გასატარებლად,—ის საფუძვლები და შემთხვევები, როდესაც ნაციონალიზაცია ქმნილ წარმოებათ მესაკუთრენი განთავისუფლებულ უნდა იქნენ ამ წარმოებათა კრედიტორების წინაშე პასუხისმგებლობისაგან.

2. ამა დადგენილების 1 მუხლის მოქმედება არა ვრცელდება:

ა., იმ წარმოებასა და ნავ-ჭურჭელზე, რომელიც ეკუთვნის კოოპერატივებსა და მათ გაერთიანებულ დაწესებულებას.

ბ., იმ წარმოებაზე, რომელიც ეკუთვნის უცხო ქვეყნის ქვეშევრდომს თუ დამტკიცებული იქნა რომ უცხო ქვეყნის ქვეშევრდომმა შეიძინა ის წარმოება არა უგვიანეს 1921 წლის თებერვლის 25-სა.

გ., იმ წარმოებაზე, რომელსაც საკუთარი ნავ-ჭურჭელი არა აქვს და ამავე დროს იგი უცხო ქვეყნის სანაოსნო წარმოების წარმომადგენელია.

დ., ზღვის ხის და იალქნიან ნავ-ჭურჭელზე, უკეთუ იგი არ შეადგენს ნაწილს იმ სანაოსნო წარმოებისას, რომელიც ამა დეკრეტის ძალით ნაციონალიზაცია ქმნილ უნდა იყოს.

ე., მოტორ იალქნიან ნავ-ჭურჭელზე, რომელიც,—თანახმად სიგრძით ზომის მოწმობის სამოცდა ხუთმეტ (75) ფუტს არ აღემატება და რომელიც ეკუთვნის ერთს მესაკუთრეს ან მესაკუთრეთა ჯგუფს, უკეთუ მათ მიერ ფლობა ნავ-ჭურჭლისა დამყარებულია შრომის საფუძველზე და საქმეში მონაწილეობას იღებენ პირადი შრომით.

ვ., იმ ნავ-ჭურჭელზე, რომელიც თევზის საჭერად იხმარება ან სხვა საზღვაო მრეწველობისათვის.

ზ, იმ ნავ-ჭურჭელზე, რომელიც ეკუთვნის ლოცმანთა ამხანაგობას და სალოცმანო საქმისათვის იხმარება.

3. უკეთუ სანაოსნო წარმოება აწარმოებს აგრეთვე სხვა ოპერაციებსაც, რაც პირდაპირ დამხმარე არ არის ტვირთისა და მგზავრთა გადაზიდვისათვის, როგორც მაგალითად დაზღვევისა, საექსპედიტორო და სხვ. ამისათვის ამ შემთხვევაში, ამა დეკრეტის 1 მუხ. ძალით, ნაციონალიზაცია უნდა იქნეს წარმოების იმ ქონებას, რომელიც ხელს უწყობს ნაოსნობას და მასთან არის დაკავშირებული.

ამგვარ წარმოების ქონების გასანაწილებლად უნდა შედგეს განსაკუთრებული კომისია საზღვაო ტრანსპორტის უფროსის თავმჯდომარეობით დაინტერესებულ უწყებათა მონაწილეობით.

4. საზღვაო ტრანსპორტის უფროსს ნება ეძლევა გამოსცეს წესები და ინსტრუქციები, ამა დეკრეტის წესიერად ასრულებისათვის.

5. ამა დეკრეტის მოქმედება ვრცელდება ბათუმ-გაგრის სანაპიროზე.

6. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს რევოლუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდივანი.
რევოლუციონური კომიტეტის მდივანი ალ. ხელარიძე.
1921 წ. აგვისტოს 26.
ტფილისი სასახლე.

დადგენილება № 57.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპ. რევოლუციონური კომიტეტისა.

ტყის სარგებლობის თაობაზე საქართველოს რევოლუციონური კომიტეტის მიერ 1921 წლის აპრილის 19-ს თარიღით და 41 №-რით გამოცემული ბრძანების 1-ლი მუხლის შეცვლის შესახებ.

ვიდრე შემუშავებული იქნებოდეს საერთო სახელმწიფოებრივი გეგმა სატყეო მეურნეობის წარმოებისათვის მთელს რესპუბლიკაში,—საქართველოს რევოლუციონური კომიტეტი, მის მიერ ამა 1921 წლის აპრილის 19 თარიღით და 41 №-რით გამოცემული ბრძანების 1-ლი მუხლის შესაცვლელად, ადგენს:

1. მშრომელ მიწათმოქმედს ტყე მიეცეს ძირზე მდგომარე ხის ფასად, რაც უნდა შევიდეს საერთო სახალხო ხაზინაში.

2. ღარიბ მცხოვრებლებს და აგრეთვე სტიქიონური უბედურებისაგან დაზარალებულთ ტყე შესაძლოა მიეცეს ძირზე-მდგარი ხის ფასზე ნაკლებ ან სრულიად უსასყიდლოდ მიწათ მოქმედების სახალხო კომისარიატის ნებართვით; მხოლოდ ამისათვის საჭიროა წარდგენა სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ორგანოთა მიერ დადასტურებული მოწმობისა.

3. არამშრომელ მცხოვრებთა და სამრეწველო წარმოებათ ტყე უნდა მიეცეს ყოველთვის მტკიცე ფასებში.

4. მტკიცე ფასი ექვსჯერ უნდა აღემატებოდეს ძირზე-მდგარი ხის ფასს.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდგან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს რევოლუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდივანი
მიწათ მოქმედების სახალხო კომისარი ფ. მ. ხარაძე.
რევოლუციონური კომიტ. მდივანი ალ. ხელარიძე.
1921 წ. აგვისტოს 26,
თბილისი სასახლე.

დადგენილება № 58.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რევოლუციონური კომიტეტისა წითელ არმიელთა მიერ დატოვებული უვარგისი ცხენების შესახებ.

იმ მიზნით, რომ წითელი არმიის მიერ უვარგისობის გამო დატოვებული დავარდნილი, ავადმყოფი ცხენები, მოვლის შემდეგ, წესიერად განაწილდეს ადგილობრივ ღარიბ გლეხთა შორის და ამგვარი ცხენები უსათუოდ იმათ ერგოს, ვისაც ამ ცხენების მოვლა წამლობისათვის შრომა გაუწევია და საკუთარი მუშა-პირუტყვი არა ჰყავს,—საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტი საჭიროდ სთვლის შემოღებულ იქნეს სავალდებულოდ ერთგვარი და სამართლიანი წესი და ამის გამო ადგენს:

1. წითელი არმიის მიერ უპატრონოდ დატოვებული ავადმყოფი ცხენები განაწილდეს იმ ადგილობრივ მშრომელ-გლეხთა შორის, რომელთაც არა ჰყავთ საკუთარი სამუშაო პირუტყვი (ხარი, კამეჩი, ცხენი) და რომელთაც ეს უვარგისი ცხენები აუყვანიათ და თავიანთი მეცადინეობით და მოვლით გამოუკეთებიათ.

2. ზემოაღნიშნული საქმე დაექვემდებაროს განსახილველად და გადასაწყვეტად შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებულ წითელ არმიის მიერ მიყენებულ ზარალის ანაზღაურების კომისიას იმ წესრიგის დაცვით, რომლითაც ეს კომისია აწარმოებს თავის ჩვეულებრივ საქმეებს.

3. უკეთუ კომისიამ სცნო, რომ ის მცხოვრები, რომელსაც ჯარის მიერ დატოვებული უვარგისი ცხენი აუყვანია, არ შეეფერება ამა დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნულ პირობას, ცხენი ჩამოერთმევა, როგორც სახელმწიფო საკუთრება, ხოლო კომისიისაგანვე აუნაზღაურება ყველა დამტკიცებული ხარჯი და ზარალი, ავადმყოფი ცხენის მოვლით და შენახვით გამოწვეული.

4. დადგენილება ესე ვრცელდება იმ შემთხვევებზე, რომელსაც ჰქონდა ადგილი 1921 წ. თებერვლის 25 დან.

საქართველოს რევოლუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდივანი
შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ბ. კვირკველია.
რევოლუციონური კომიტეტის მდივანი ალ. ხელარიძე.
1921 წ. აგვისტოს 26.
თბილისი—სასახლე.

ბრძანება № 78.

საქართველოს რევოლუციონური კომიტეტისა.

1. საქართველოს ს. ს. რ. რევოლუციონური კომიტეტის ამა 1921 წ. აგვისტოს 24-ის დადგენილებით, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი ამხ. ელისაბედაშვილი გადაყენებულია ამ თანამდებობიდან.

2. საქართველოს ს. ს. რ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრად დანიშნულია ამხ. ქურქაშვილი.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდივანი.
რევოლუციონური კომიტეტის მდივანი ალ. ხელარიძე.
1921 წ. აგვისტოს 27.
ტფილისი სასახლე.

ბრძანება № 77.

საქართველოს რევოლუციონური კომიტეტისა.

1. საქართველოს ს. ს. რ. რევოლუციონური კომიტეტის 1921 წლ. აგვისტოს 11 ს დადგენილებით, ფოსტა ტელეგრაფის სახალხო კომისარის მოადგილე ამხ. ალექსანდრე კამარაული განთავისუფლებულია ამ თანამდებობიდან და დაინიშნა ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის დაწესებულებათა ტექნიკური ნაწილის მოწესრიგების საგანგებო რწმუნებულად.

2. საქართველოს ს. ს. რ. ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარის მოადგილედ დაინიშნა ამხ. ალექსი კამარაული.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდივანი
რევოლუციონური კომიტეტის მდივანი ალ. ხელარიძე.
1921 წ. აგვისტოს 26.
ტფილისი სასახლე.

ბრძანება

ფინანსთა სახალხო კომისარისა
27 აგვისტო, 1921 წ. № 54.

1. გაუქმებულ იქნეს დღეის რიცხვიდან ქ. თბილისის ყველა ბანკების კომისრის თანამდებობა.

2. წინადადებას ვაძლევ ქ. თბილისის ყველა ბანკების კომისარს გადასცენ ყველა საბუთები და საქმეები სახალხო ბანკს გამგეობას.

ფინანსთა სახალხო კომისარის მოადგილე ბ. ზბინეიშვილი.

— საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1-ლი რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი „ნაძალადევი“ ტელ. 1—33.

— მე-2 რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე 3-მე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ე რაიონის ბიურო—ოლღას ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში, 9—52

— მე 5-ე რაიონის ბიურო—აბანოს ქუჩა.

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღებიან მხოლოდ ნაშუადღევის 2 საათამდის.

პარტიული

— განათლების და სოციალისტური კულტურის მუშაკთა კავშირის საორგანიზაციო ბიუროს სატარიფო მომწესრიგებელი განყოფილება აცხადებს, რომ ოთხშაბათს, ნაშუადღევს 12 ს., სარაჯევის ქუჩა № 3, შესდგება ყრილობა ყველა საშუალო სკოლის მასწავლებლების წარმომადგენლისა.

სურსათზე მომუშავეთა პროფკავშირის პრეზიდიუმი ამით აცხადებს, რომ 11 სექტემბერს, ამა წელს,

შესდგება სრულიად საქართველოს სურსათზე მომუშავეთა პროფკავშირისა ყრილობა

დღის წესრიგი: 1) მიმდინარე მომენტი და საბჭოთა აღმშენებლობა, 2) ანგარიში ცენტრალური გამგეობისა, 3) ანგარიში სარევიზიო კომისიისა, 4) მოხსენება ადგილებიდან, 5) ორგანიზაციული მიზანი კავშირისა, 6) მოხსენება ტარიფის შესახებ, 8) მოხსენება ს. მ. უ. საბჭოს სურსათის განყოფილებიდან, 8) მოხსენება პურის საცხობის განყოფილებიდან, 9) პროფკავშირის მონაწილეობა წარმოებაში, 10) კულტ. განყოფილების მოხსენება, 11) მუშათა მომარაგება, 12) არჩევნები ცენტრალური გამგეობისა, 13) არჩევნები სარევიზიო კომისიისა.

სურსათზე მ. მუშავეთა პროფკავშირის გამგეობა

თბილისის ცენტრალური სახელმწიფო შემნახველი კასა

აცხადებს შემნახველთა საყურადღებოთ, რომ კასა გადავიდა გრიბოედოვის ქუჩიდან № 22 ხაზინის შენობაში (ხაზინის ქუჩა № 3) და ორშაბათიდან, 29 ამა აგვისტოდან იწყებს გაცემითი ოპერაციების წარმოებას ნორმით 100,000 მანეთამდე.

სახელმწიფო დრამატიული სკოლის კანცელარიიდან.

ა. წ. სექტემბრის ბოლოს იხსნება სახელმწიფო დრამატიული სკოლა სახელმწიფო ენაზე, რუსულ და სომხურ სექციებით.

სკოლაში ღებულობენ ორივე სქესის მოწაფეებს არა ნაკლებ 14 წლისა, გამოცდების და [illegible] შემდეგ.

სწავლა სკოლაში უფასოა. კურსი 2 წლიანია. მეცადინეობა ყოველ დღე—დილით და საღამოთი.

პირველ კურსზე მისაღებათ საჭიროა: მკაფიო და გრძნობითი კითხვა ლექსების და პროზაიკულ ნაწყვეტების (ლექსები, პროზა, იგავის), როგორც ეგზამინატორების არჩევით, ისე თვით გამოცდის დამჭერთა სურვილით.

მე-2 კურსზე მისაღებათ საჭიროა: დაყენებული ხმა, სწორი დიქცია და უცდომლად ლიტერატურული კითხვა.

მოწაფენი, რომელთაც აქვთ ხმის და ფიზიკური გამოუსწორებელი ნაკლი, რომელიც უშლის სკოლაში მეცადინეობას, არ მიიღებიან.

იმ პირთა ჩაწერა, ვისაც სურს შესვლა სახელმწიფო დრამატიულ სკოლაში, ერთ-ერთ განყოფილებაში: ქართულში, რუსულში ან სომხურში, იწყება აგვისტოს 25 ს სკოლის კანცელარიაში, (ყოველ დღე დილის 10—2 საათამდე) რომელიც დროებით მოთავსებულია სახელმწიფო დრამის შენობაში (რუსთაველის პრ.) სხვა ქალაქებში მცხოვრებთ განცხადება შეუძლია ფოსტით გამოგზავნონ.

სახელმწიფო დრამატიულ სკ. გამგე ა. რ. წუწუნავა.
რუსული სექციის გამგე ა. ხ. პეტროკოვსკი.